

ღმ.ღმ.

სამცხე-ჯავახეთის
110-ე
ს.ე.ც.

№2, 2014



ოროსანი დათვი

აპთანდელ
მეგრელიშვილი

უოველ დილით სკოლაში
მიბაჯბაჯებს დათვი.
სასუსნავის მოევარულს
ჩანთაში აქვს თათი.
გაკვეთილს არ ამზადებს,
არც აქვს მიხი დარდი,
მუდამ თავცარიელი,
ჩანთასავსე დადის.
დღიურს ავსებს ორებით,
ერთი სამიჯ არ ჩანს შიჯ.
აბა, ხუთს ვინ დაუწერს
გზასე უქმად ჩანჩალში.



მსიარულო ლექსები

პანაშუტი

ციეუნია გაიძახის:

– აბა, უტი! აბა, უტი!

ამ მაღალი მუნის სიდან
დათვი სტემა პარაშუტით!

მუნას უმწერს ეველა მხეცი,

გაინაბა ტყე და ჭალა.

დათვი მოდის, როგორც ტყვია,

პარაშუტი ვერ გაძალა...

მელაკუდა აქირქილდა:

– დავაუარე ქვა და რიე,

ერთი წელი ვაქეხებდი,


როგორც იქნა, გავაბრიევე.



მკვეხანა მამალი

მთიდან ძერა აფრინდა
 ფრთების შავი აფრითა.
 თითქოს ნაღმი აფეთქდა,
 მთელი ფერმა დაფეთდა.
 კრუსი გაიძახოდა:
 ეველა მოდით აქეთა!
 იქვე გახნდა მამალი
 ყვინჩილების ამალით.
 ბრძანა: ეხო დატოვეთ,
 აქ არ დაჩხეს არავინ.
 ძერას მარტო დაუხვდები,
 რა მამკვს დასამალავი!
 თქვა და თავი ასწია,
 მთას ასედა ახოდას...
 მტაცებელი მკვეხანას
 სწრაფად მოუახლოვდა.

მამლაყინწამ შიშისგან
 რაღაც წამოაბოდა,
 ფრთებით მიწას გაეკრა,
 ეველასე წინ გარბოდა.



მკვეხანა-მკვეხანა

მხატვარი ელენე ვარამაშვილი

მკვეხანა

ტრანზახობდა კატუნა:
 – შემირცხვეს ეს უღვაში,
 იხვი რაა, თევზებმაც
 თუ მაჯობონ ცურვაში!
 წეაღში ჯერ არ შესულა,
 ბაქიბუქობს: – იხვს ვჯობნი!
 იქ კი მორთო კნავილი:
 – მიაჰ, მიაჰ, ვიხჩობი!



ბეკეკა და კესო

ბონჟო
მაცაბერიძე

მხატვარი ლაშა სულაკაური

წარამარა კამათი აქვთ,
ბეკეკას და კესოს;
ვერ გაიყვეს ერთმანეთში
ვინ ვინ უნდა მწყემსოს.

მე შენ გეტყვი,
რომელიმე
დააფრთხოვდა მგელსო?!

ჰოდა, სანამ მგელი მოვა
დავარიგოთ ჩვენცო;

კესომ მწყემსოს ბეკეკა,
თუ
ბეკეკამ – კესო.



ტყუილი განგაში

შეიქნა ერთი ჩოჩქოლი,
მითქმა-მოთქმა და ყიჟინა,
წყაროზე თქმულმა ამბავმა
სოფელზეც ჩამოირბინა:


— არიქა, ტყიდან ტურები
ჩამოგვიცვივდნენ ჭალებსო,
მეველეს შემოუთვლია
გონჯი ჩაუდგით ყანებსო!

საქმე მიეცათ მეგუთნეთ,
ორთვალს გამოსნეს ცხენები
და მზის ჩასვლამდე ყანებში
ჩაფრინდნენ ჭენებ-ჭენებით.

ნახეს და, ვაი, სირცხვილო!
ტყუილად ატეხეს განგაში:
ერთი პატარა მაჩვუკა
დაფაჩუნობდა ყანაში.



საუნებრღო



მზია ჩხატინანი

საით წაგიმღვა, სად არა –
 გითხრა ლექსი და ზღაპარი,
 მსოფლიო შემოგვატარა,
 ზღვა და ხმელეთი, მთა-ბარი –
 ცოდნის წადილით აგავსო,
 გმირებთან დაგამშობილა,
 ვინ და რა აღარ გაგაცნო,
 რა ჯადოქარი უოფილა!


არც წუალს გვასმევ,
 არც ღვინოს –
 გაგვასარო, გვალსინო.
 ეს როგორი ტიკი ხარ?
 ცარიელი ღიზი ხარ?
 გაგკრავ, გადავორდები,
 – ჰეი, საით მიდიხარ?


მოსდებოდა ველებს ქაფი,
 ქაფში იწვა გველეშაპი...
 – მე რე რა ქნა გველეშაპმა?
 რას იხამდა, მზე შეელაპა!
 – ახლა?
 – ახლა თვითონ ტირის,
 დაუღია შავი ზირი,
 არ ჩერდება, ღნავის... ღნავის...
 დაგვატყეს ცრემლის ღვარი.


მევიოლინე ჭიჭინა

მანანა მირალა


მოქმედი გმირები:



 – ჭრიჭინა



 – მახრა


 – კუტკალია





ბოსტანში, ლაშქარას ფოთოლზე, მევიოლინე  ცხოვრობდა. დილით გამოვიდოდა თავისი პანანინა სახლიდან, ყვავილის ნამით პირს დაიბანდა, ისაუზმებდა, იქაურობას მიალაგებდა, მერე კი, როცა


 კარგად დააცხუნებდა, ვიოლინოს აიღებდა და დაკვრას იწყებდა. უკრავდა ისეთი გრძნობით, ისე ლამაზად, რომ  მის ჰანგებზე ყვავილიდან ყვა-

ვილზე სულ ცეკვა-ცეკვით დაფარფატებდნენ;  ნიჟარებიდან თავს გამოყოფდნენ, რათა უკეთ მოესმინათ მშვენიერი მუსიკა. ხანდახან ბებერი  ამოძვრებოდა ხოლმე სოროდან, მყუდროზე დასკუბდებოდა და ტუჩების ცმაცუნით უსმენდა.

– გააჩერეთ, ხალხო, გააჩერეთ! აღარ შემიძლია მაგისი – ჭინის ატანა! – დაიძახებდა გულმოსული  და კარის ჯახუნით შინ შეიკეტებოდა.

– რა გინდა, მეზობელო! გაუშვი, გაერთოს და ჩვენც გაგვართოს! უკრავს, ხომ არაფერს აშავებს?! – გამოეპასუხებოდა .

– რა მინდა? ერთხელაც იქნება, ე მაგ სანრუნუნოს დავუმტვრევ და მერე აკენესოს ჰანგები, რაზედაც გაუხარდება! – გამოიხედავდა ფანჯრიდან  და დაბოლმილი ისევ შეიმალებოდა.

– ეჰ, ძმაო, შენ მუსიკისა რა გაგეგება, – ხელს ჩაიქნევდა  და თავის საქმეს გააგრძელებდა.



კი უკრავდა და უკრავდა შთაგონებით და სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ასე გავიდა ზაფხული, დადგა შემოდგომა. მშვენიერი დარები დაიჭირა. ირგვლივ ყურძნისა და ბადაგის სურნელი ტრიალებდა. მაგრამ ერთხელაც ქარი ამოვარდა, ქარი კი არა, ნამდვილი ქარიშხალი. აქეთ-იქით ზათქითა და გრიალით აწყდებოდა და ქვეყანას გაცამტვერებას უქადდა.



-ამ ცალი ხელით



ჩაბლუჯა, მეორით ყვავილის ღეროს მოეჭიდა, ქარმა





არ მომიტაცოსო, მაგრამ აბა, რას გახდებოდა... უეცრად ისე ძლიერ დაუბერა, საბრალო თავისი



-თი მალლა აიტაცა და სადღაც შორს, შორს ბუმბულივით წაიღო.


მერე დაიჭექა, დაიქუხა და თქეში წამოვიდა.

ღილით გამოიღარა. ბუნება ისევ ჩატკბა,  გალაჟღავნდა და ფოთლებზე ძვირფასი


თვლებივით აციმციმებული წვიმის წვეთები ააშრო. დიდ-პატარა გარეთ გამოიშალა: აჭიკ-ჭიკდნენ , აფარფატდნენ ; ყველა სულიერი თავის საქმეს შეუდგა, მხოლოდ ჩვენი ჭრიჭინას ვილინოს ხმა აღარ ისმოდა.

- ნეტავ სად არის? რატომ აღარ უკრავს? - კითხულობდნენ აქეთ-იქიდან, მაგრამ პასუხი არავინ იცოდა. იქნებ გამოჩნდესო, იმედს არ კარგავდნენ, თუმცა დღე დღეს მისდევდა, კი არა და არ ჩანდა.




ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ -საც ვეღარ ხედავდნენ. აღარც მისი ბუზღუნი ისმოდა, აღარც ბრაზიანი შეძახილი. იშვიათად თუ გამოყოფდა ცხვირს გარეთ და ისევ შეიმალებოდა.

- ამას რაღა მოუვიდა? ახლა ნერვებს აღარავინ უშლისო, გაოცებულები მხრებს აიჩეჩდნენ, თან ერთმანეთს დაეჭვებით გადახედავდნენ, - აქ რაღაც სხვა ამბავიაო.

ერთ საღამოს -მ დაინახა ღირეზე ჩამომჯდარი და მაშინვე მასთან გაჩნდა.


- მეზობელო, როგორა ხარ? სად დაიკარგე, რომ აღარ ჩანხარ? - ჰკითხა და გვერდით მიუჯდა.

- რა ვიცი, ვერა ვარ ხასიათზე, - ამოიკვნესა -მ, - სევდა შემომანვა.

- ეჰ, ძმაო, გამოგიტყდები, რაც ჩვენი  გაუჩინარდა, სულ გამოვყრუვდი, აქაურობა

აღარ მეჩემება. ის რომ უკრავდა, მემღერებოდა, სიცოცხლე მიხაროდა, ახლა კი... ახლა თითქოს რაღაც მომაკლდა...

- მეც მომაკლდა, მეც...

-მ თავი დახარა და დარცხვენილმა ამოილულლულა, - კარგი იყო ის დალოცვილი, კარგი.... მერე ამოიოხრა და დაღონებულმა მთვარეს ახედა, - ნეტავ ახლა სად არის? ვის უხარებს გულს?..

- ვინ იცის, ვინ იცის, - ჩაილაპარაკა -მ და, თითქოს პასუხს იქ ეძებსო, იმანაც მთვარეს მიაპყრო თვალი.



კონკურსი

ჟურნალი „დილა“ ტრადიციულად აცხადებს კონკურსს „ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში“, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამწყებ საბავშვო მწერლებს, ყველას, ვისაც სურვილი აქვს წეროს პატარებისთვის ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები და იგავები.

დღეს ჟურნალის ამ კონკურსის პირველ მონაწილეს, ქეთი კვიციანიანს გაგაცნობთ. ეს მისი დებიუტია. მთავარი შემფასებელი, რა თქმა უნდა, ჩვენი მკითხველი იქნება.

ქეთი კვიციანიანი

მამას ლურჯი ჰერანგი წითლად გავაფერადე;

აღარაა ლურჯი, გადამიგდეს ფუნჯი.

გამიჯავრდა დედა: – ამდენს როგორ ბედავ?

გაგიჟდება მამა, რა გარეცხავს ამას?

დამემუქრა დეიდა: – ხმას არ გაგცემ დღეიდან!

ახუსლუნდა მამიდა: – ბავშვი სულ თავს გავიდა.

ბებო ჰერანგს უცქერის: – გაგვითავდა ფურცლები?

არ უჯერებს თვალებს (რა მზერა აქვთ ქალებს).

შემოვიდა მამიკო. იცით, როგორ გამიგო?...
– არ მომწონდა მაინც, ეს ჰერანგი ლურჯი.

მოგვაწოდეთ ქილა! დაგვიბრუნეთ ფუნჯი!

გავაგრძელეთ ღებვა, არის ჩვენი ნება,

და ჰალიტრით ხელში, ვლიღინებდით ხმებში.

გადაიცვა მამამ შეღებილი ზედა.

– ერთი ჭკუის ხართო! – იცინოდა დედა.





თუ კი სადმე შევნიშნე
საზონი და წვალი,
– არ დამზანოთ! – გავევირი,
– ამეწვება თვალი!
თუ ბავშვებთან ვთამაშობ,
ვევირი: – მომე ბუშტი!
სწრაფად დამემოწხილეთ,
რომ არ მოგხვდეთ მუშტი.
ნეტავ რატომ ვევიროდი?
დამექნია ხელი,
ხმა წამერთვა, გამიკრეს
თბილი შალით ეელი.



დამეკარგა ცუგა, კუდი მავთულს უგავს,
ცისფერი აქვს თვალი, ჰირში ედო ძვალნი.
მომენატრა ისე... და არ ვიცი, რა ვქნა?
მეჩვენება ზოგჯერ, რომ სწავთოდ გაქრა.
გამეზარა უცებ, წკმუტუნა და ავი,
რომ უკბინოს ვინმეს, ხომ მომეჭრა თავი.
თუ მომიუვანთ ცუგას და არ მეტყუით – „ვერა“-ს!
კანფეტებს დაგირიგებთ მე და მამა ეველას.

მხატვარი
ელენე კოტრიკაძე



ყუბანი წამალი



ეხის წვერებზე იდგა მოხუცებული ვეზირი და ფრთხილად, სულგანაბული მიიპარებოდა ბატონის საწოლისკენ. მივიდა, გადასწია ძვირფასი ფარჩის ფარდა და მოწინებით დაუკრა თავი.

- წუხელის კარგად გეძინათ, ხელმწიფო?
- შენს მტერს! თვალი არ მომიხუჭავს.
- აჰა, ღმერთო! სამი კვირაა, რაც ეგრე იტანჯებით...

- სამი კვირაა, ძილი არ ვიცი. მოვკვდი, აღარა ვარ კაცი!

- ღმერთმა დაგიფაროთ! სიკვდილს თქვენთან რა ხელი აქვს?! საკვირველია სწორედ, საოცარია, ბუნების წინააღმდეგია!

- მიზეზი მაინც ვიცოდე, რომ...

- სახელმწიფო საქმეებზედ ფიქრი და ზრუნვა, ბატონო...

- რას მიჰქარავ! სხვას ვის შეუკლავს სახელმწიფო საქმეებისთვის თავი, რომ მე შემეკლა? ნაზირ-ვეზირნი რაღად მინდა? ერთ-ერთი ჩემი საზრუნავი ქეიფი და განცხრომაა და, წარმოიდგინე ჩემი უბედურება, ყველაფერი ჩამაშხამა ამ უძილობამ. ჭკვიანი კაცი ხარ და აქამდე როგორ ვერა მოიფიქრე-რა?

როგორ არა, ბატონო: დავიბაროთ საექიმო აკადემიის წევრები და იმათ ვკითხოთ. მაშ, რის მეცნიერნი არიან, თუკი...

- მართლა რომ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ... აფრინე კაცი და აქ მომგვარე ჩემი აკადემიკოსები.

წინ უხუცესი მობრძანდებოდა და თან მოჰყავდა ოცდაცამეტი შავით მოსილი სწავლული. უხუცესს, ნიშნად თავისი ღირსებისა, ორი სათვალე გაეკეთებინა, დანარჩენებს კი ცხვირს



მხატვარი როენა შელავია



თითო სათვალე უმშვენებდა.

შევიდნენ აკადემიკოსები ბატონის სანოლ ოთახში, თავმდაბალი სალამი მისცეს და მეცნიერულ სჯას შეუდგნენ.

თავმჯდომარედ უხუცესი ჰყავდათ. შუადღემდე განაგრძეს კონსულტაცია. მერე უხუცესი მიუახლოვდა ბატონს, სათვალეები გაისწორა, სამჯერ თავი დაუკრა, მუჭაში ჩაახველა და მოახსენა:

– ნეტარ ხსენებული პაპათქვენის მიერ დაარსებულმა აკადემიამ შეისწავლა, დიდებულ ბატონო, თქვენი სნეულება, ბუნება, და მიზეზნი მისნი და ცხადყო, ვითარცა სხივნი მზისანი, რომელ თქვენი უძილობის მიზეზი, ხელმწიფეო, უპირველეს ყოვლისა... ძილის გაკრთობა გახლავთ. სნეულება უკვე განკურნებულ არს, მოწყალეო. ოდეს ცნობილ არს მიზეზი მისი, რადგან განდევნა სნეულების მიზეზისა მომასწავებელ არს განკურნებისა. ამის გამო აკადემიამ ერთხმად დაადგინა, გირჩიოთ შემდეგი უებარი წამალი: *Papaver Somniterium*.

– არ შეიძლება, ქრისტიანულად გველაპარაკოთ?

– ინებეთ, ხელმწიფეო. ყაყაჩოს მოახარშვინებთ და სასმელად მხოლოდ იმას მიირთმევთ. რაც შეეხება საჭმელს, დღეს, ხელმწიფეო, დათვის ბეჭი გექნებათ ცივად და მოხარშული ჭოტი...

– რაო? ჭოტიო?

– დიახ, მოწყალეო, მძინარა ხორცი აქვს დათვსა და ჭოტსა და უძილობის წამლად არიან მიღებული მეცნიერებაში.

ეს მოახსენა, თავი დაუკრა, თავისდა უნებურად ჯიბეზე ხელი გაიკრა და გავიდა. აკადემიკოსები თან გაჰყვნენ.

აფრინეს კაცი ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღის დირექტორებთან, – სასახლის მზარეულს საჩქაროდ მიართვით საუკეთესო ყაყაჩო, დათვი და ჭოტი. ხელმწიფეს ურჩია წამლად აკადემიამო.

დაბრძანდა უძილობისგან მისუსტებული ბატონი და ისე მიაძღა დათვის ბეჭს ცივად და მოხრაკულს ჭოტს, რომ ძლივსლა ქმინავდა. დარწმუნებული იყო, რომ ტკბილად ჩაიძინებდა იმ ღამეს და ადრე დანვა.

ის იყო, გააქრო სანთელი და ატყდა რევოლუცია! ერთმანეთს შეეჯახნენ დათვი და ჭოტი და აირ-დაირია იქაურობა! იმისთანა გრიალი ისმოდა, იმისთანა ჭექა-ქუხილი, თითქოს ყუმბარებს ესვრიან ერთმანეთსო. სწორედ განადგურებას უპირებდნენ დიდ ბატონს. დასწყევლოთ ღმერთმა! სანამ ცოცხლები იყვნენ, ეძინათ, რალა მაშინ გამოიღვიძეს, ბატონის შესაწახებლად?

მისდგა ბატონი და სულ კოკებით ისხა წყალი, – არც ახლა ჩაქრება ამბობებო?!

ბოლოს დილით, როდესაც მზე საკმარისად ზემოთ წამოვიდა, როგორც იყო, დაიმორჩილა მეფემ თავისი სამფლობელო და დაამშვიდა. ის იყო, თვალი დახუჭა და ერთგული ვეზირიც წაადგა თავზე.

– მომილოცავს განკურნება, ხელმწიფეო!

– რის განკურნება! დამცინი?

– ნუთუ არ გეძინათ?

– არა და არა!

წამოიწია ბატონმა, დაწვრილებით უამბო წუხანდელი თავისი ტანჯვა-წამება და მწარე კვნესით დააყოლა:

– უძილობას სიკვდილი მირჩევნია! თუ არა მეშველა-რა...

– ბატონო, თავი ჰქონდეს კაცს და თავში ტვინი, თორემ რა გაუჭირდება?! ისე დაგაძინოთ, რომ... ეს უღვაში მომჭერთ, აი, ცალი უღვაში...

და გაქრა ვეზირი; იმ დღეს აღარავის უნახავს. ვახშამს ათავებდა ხელმწიფე, როდესაც კვლავ თავი დაუკრა.

– ოჰო, მობრძანდი?


– გეახელით, ბატონო. თუ შეიძლება, ამ ბალიშზედ მიესვენეთ, კარგად გაიმართეთ და მოემზადეთ დასაძინებლად.

– კარგი და პატიოსანი, მერე?

– მოთმინება, ბატონო!

კარებში რალაც ანიშნა ვეზირმა და შევიდნენ მემუსიკენი, საუკეთესო სახელგანთქმული მემუსიკენი. მომართეს თავიანთი საკრავები.

– აბა, მზადა ხართ? – უბრძანა ვეზირმა, ერთი! ორი! სა სამი! დაიწყეთ, ბატონებო!



თქვენი ძილის საათი...

– ნიკ-ნიკ, ნიკ-ნიკ, ვინ ვარ და...
თქვენი ძილის საათი!
ქუდის წვერზე მაბია,
წკრიალა ზანზალაკი.

ძილის დრო რომ დადგება,
ძიინ!.. დარეკავს ჩემი ზარიც,
ეგ იმის ნიშანია,
უნდა მოხუჭოთ თვალი!

ხედავთ, უკვე გელიან
ბალიშიც და საბანიც,
ხომ იცით, რომ არ უყვართ,
ბავშვები დასაბანი.

თუმცა... მაგათ რა უყვართ,
ეგ მე სულ არ მეხება,
რადგან აგერ სამ წამში,
ისარი შემეხება.

ნიკ... ნიკ... ძიინ! და ცხრაც გახდა,
რა ქნეს თქვენმა თვალებმა?
ჯერაც არ მოხუჭულან?..
მაშ, დავინყოთ მითქნარება!

ახლა, მგონი, მზადა ხართ,
ლოყის ქვეშ გაქვთ ხელები,
ზოგიერთს კი ჩაგიკრავთ,
გულში დათუნიებიც.

თუ ეგრეა, რას ვუცდით?
მივლულოთ წამწამები!..
ძინ, ძიინ!.. აბა, დაიდრა,
ძილის მატარებელი!..



სადაც არ უნდა იყვნენ, გიგა და თორნიკე
ყოველთვის გვერდიგვერდ დგანან

ეს გიგაა



დანარჩენი სამიდან
რომელია თორნიკე?



იპოვე თაგვის ხეხვი ჩრდილი



და დაიწყეს. სულ უბრალო, ძველებური იავნანა დაუკრეს, მაგრამ ისე მწყობრად, ნაზად, ტკბილად, თითქოს დედა უმღერის თავის პირმშოს იავნანასო. უცნაური კონცერტი იყო, ციური სიმშვიდის მომგვრელი და მიმადინებელი.

ყველაზე უნინ თითქოს ვეზირმა იგემა თავისი გამონაგონის ნაყოფი. სავარძელზე მიესვენა, თავი ჩაქინდრა და ხელები მუცელზე დაიკრიფა. მერე მემუსიკეთ მოერიათ ძილი და ჯერ ერთმა მილულა თვალი, მერე – მეორემ; ცოტა ხანში ყველამ ხვრინვა ამოუშვა.

მარტო ხელმწიფეს არ ეძინა, თუმცა თვალდახუჭული ბრძანდებოდა ტახტზე მისვენებული. რად გაჩუმდნენ მემუსიკენიო, თვალი გაახილა, გადაიხედა, წამოდგა და ტახტიდან ჩამობრძანდა.

– სწორედ ჭკვიანი კაცი ყოფილა ჩემი ვეზირი; როგორ მიაძინა ამოდენა ხალხი! ეჰ, მე კი არა მემველ-რა! ვის მივმართო? ვის ვთხოვო განკურნება?

ქვეყანამ გაიგო ბატონის ტანჯვის ამბავი და ყველა იმის განკურნებასა და ჯილდოს მიღებას ცდილობდა. მაგრამ ამო იყო ყოველივე. ბატონის თვალს ძილი არ ეკარებოდა და რაც ხანი გადიოდა, მით უფრო ბოროტდებოდა ავადმყოფი. ბოლოს სასტიკი ბრძანება გასცა: თუ კიდევ გაბედა ვინმემ, მინამლა და ვერ მომარჩინა, თავს გავაგდებინებო.

სამი დღის განმავლობაში მზის ამოსვლის და ჩასვლის დროს შიკრიკი დადიოდა ქალაქში და მაღალი ხმით აცნობებდა ხალხს ბატონის ბრძანებას.

სწორედ მესამე დღეს შეიტანა ქალაქში ერთმა გლეხკაცმა კიტრი და ყური მოკრა შიკრიკის განცხადებას. გამვლელ-გამომვლელს კითხვა დაუნყო და, რა გაიგო ბატონის უძილობა, ღრმად ჩაფიქრდა: კარგა ხანს იდგა გაშეშებული. ბოლოს, თითქოს რაღაც სასიკეთო მოიფიქრაო, პირდაპირ სასახლისკენ გასწავა.

მივიდა, მაგრამ ვინ შეუშვებდა სასახლეში ვილაც გლეხს?! შეუტიეს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და მთელი ხმით გაჰყვიროდა, უებარი წამალი ვიციო. ბოლოს ხელმწიფის ყურამდე მიაღწია იმისმა ძახილმა. შემოიყვანეთო, – ბრძანა.

– უებარი წამალი ვიცი, შენი ჭირიმე, უძილობისა და იმიტომ შეგანუხე. თუ მიბრძანებ...

– ჩემი ბრძანება იცი? იცი, რომ თავს გაგაგდებინებ, თუ ვერ მომარჩინე?

– ვიცი, შენი ჭირიმე, ჩემი ფიქრი ნუ გექნება. ოღონდ მიბრძანე და ისე განიკურნები...

– ძალიან კარგი. ვნახოთ, როგორი ექიმბაში ბრძანდები.

– ოღონდ... პირობა უნდა მომცე, რომ ერთი დღის განმავლობაში რასაც გთხოვ, ყოველივე ამისრულო.

– კეთილი და პატიოსანი.

– აბა, დაიხურე, შენი ჭირიმე, ქუდი და ვიაროთ.

გავიდნენ, ჩქარი ნაბიჯით გაიარეს ქალაქი და ცოტა ხნის მერე ერთ ვინრო ხეობაში შევიდნენ. ბილიკს მიჰყვა გლეხი, ტყის პირას ყანასთან მივიდა და ბედნიერი თვალთ გადახედა თავის ნაჭირნახულევს.

– როგორ მოგწონს, ბატონო? ღვთის თვალი ტრიალებს შიგა, განა?! იცის ბიჭმა, და! დღეს თუ არ მოვმკეთ, დავიღუპები კაკალი კაცი!

იქვე ბუჩქებში ორი ნამგალი ჰქონდა მიმალული. გამოიღო, ერთი თვითონ შეათამაშა, მეორე ხელმწიფეს მისცა და გაეხუმრა:

– ვნახოთ, ვის დარჩება დღეს დეკეულის თავი!

ერთხელ კიდევ შეათამაშა ნამგალი და ლომივით ეცა ყანას. ბატონმაც დაინახა და შეუდგა მკას. პირველად სიამოვნება იგრძნო, რადგან პური ძალზედ შემოსული იყო და ადვილი სამკალი. მაგრამ ძალიან მალე ასტკივდა წელი. საშინლად სწვავდა მზე, ნურნურით სდიოდა ოფლი, ხელში ეკალი ხვდებოდა, ფეხში – ნამგალი. მაგრამ რას იზამდა, ხომ არ გატეხდა თავის სიტყვას?

შუადღემდე, როგორც იყო, მიჰყვა თავის მკურნალს და გაათავეს კიდევ სამკალი. რომ გადახედა და უკვე დანოლილი ნახა მთელი ყანა, ერთი მაგრად ამოიხვნეშა და იქვე დაეშვა მინაზე.

– მობრძანდი, შენი ჭირიმე, შენაყრდი... შუადღეა... რა იქნა ის საოხრე გუდა? აი, დალახვროს ღმერთმა, თურმე ზედ დავმჯდარვარ! ესაც მჭადი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს კიტრი და ესეც მარილი. კარგი იქნებოდა, ღვინო მქონოდა, მაგრამ საჩვენოდ ვინ გახდის, შენი ჭირიმე.

შენაყრდნენ. ცოტა შეისვენეს მუხის ჩრდილში.


– ავდგეთ, ბატონო, თორემ ველარ აუვალთ ამოდენა საქმეს.

– რა საქმეს? ხომ მომკე, რალა გინდა?

– ძნად უნდა შევკრათ, თორემ რომ გაავდრდეს, ხომ დამელუპა წვრილშვილი.

მწარედ ამოიხრა ხელწიფემ, კინალამ გული თან ამოიყოლა და წამოიწია. მზის ჩასვლამდე





მთლიანად შეკრეს და დადგეს ძნა, მაგრამ ისე მოიღალა ბატონი, ისე მოიქანცა, რომ ფეხზე ვე-
ლარ იდგა.

– ახლა კი კმარა! შინ წამობრძანდი, შენი ჭირიმე, აქ-
ვე ახლოს ვცხოვრობ.

კიდევ კარგი, რომ მართლა ახლოს ჰქონდა ქოხი. სახლის
შესასვლელთან დიდი ლოდი ეგდო.

– დაბრძანდი, ბატონო, – მიიწვია მასპინძელმა და ლოდი შესთავა-
ზა სკამად.

– ოჰ, შენ გიშველა ღმერთმა!

– მე კიდევ შეჭამანდს შევდგამ... რა ვქნა, შენი ჭირიმე, დედაკაცი აღარა მყავს და...

– მე კი არა მშია და! ოღონდ ერთი სადმე დამაძინე... აი, თუნდ აქვე... იჰ, რა კარგია!..

სიპ ლოდზე ჩაეძინა ხელმწიფეს.

ასწია გლექკაცმა მძინარე ბატონი, შეიყვანა სახლში და თავის ლოგინზე დაანვინა.

მეორე დღეს შუადღე კარგად გადასული იყო, როდესაც ქოხის კარს ვეზირი მიადგა გულგახეთ-
ქილი, – ბატონი აღარსად ჩანს, ხომ არ გინახავსო?

– აქა ბრძანდება.

შევიდა ქოხში ვეზირი და განცვიფრებული დარჩა: ბატონს ეძინა და საამურად ხვრინავდა.

– რა ვქნა? ბატონსა სძინავს, თუ მე ვარ სიზმარში? ნუთუ მართლა სძინავს?

– სძინავს და აგრე! ჩვიდმეტი საათია, ფეხი არ გაუქნევია.

– საკვირველია! უცნაურია! სასწაულია სწორედ!

ეს იმისთანა ხმით წამოიძახა ვეზირმა, რომ ხელმწიფე გამოაღვიძა. გაახილა ბატონმა თვალი, მი-
იხედ-მოიხედა და გაიკვირვა:

– ნეტავ, სადა ვარ?

ბოლოს ვეზირი იცნო, რომელიც მონინებით თავს უკრავდა, იცნო გლექკაციც და გამოფხიზლ-
და.

– შენა ხარ ჩემი მხსნელი, შენა! მთელ ჩემს საბრძანებელში მარტო შენ გცოდნია უძილობის წა-
მალი! უებარი წამალი გცოდნია! ჩემს დღეში არსად მძინებია ასე ტკბილად! რაც გინდა მთხოვე,
ოღონდ მასწავლე...

– რა, ბატონო?

– უძილობის წამალი.

– შრომა, შენი ჭირიმე.

თარგმნა ივანე მაჭავარიანმა
„ნაკადული“, 1906 წ. №2



მსოფლიოს ცნობილი მკვლავი



გახსოვს, როგორ იწყება ამბავი ბიჭუნაზე და სახურავის ბინადარ კარლსონზე? „ქალაქ სტოკჰოლმის ერთ ჩვეულებრივ ქუჩაზე, ერთ ჩვეულებრივ სახლში ცხოვრობს სვანტესონების ასევე ჩვეულებრივი ოჯახი.“ შენ ალბათ გგონია, რომ ეს სახლი გამოგონილია და სახურავიც, რომელზეც ბინა დაიდო მსოფლიოში ყველაზე ოინბაზმა ზღაპრის გმირმა, მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია... გაგიკვირდება და არა! შევედეთში, ქალაქ ვიმერბიუში რამდენიმე ჰექტარზე გაშენებულ საბავშვო-გასართობ პარკში, სახელწოდებით „ასტრიდ ლინდგრენის სამყარო“, ბავშვები კარლსონთან ერთად სახურავზე დარბიან, პეპი გრძელწინდას ცხენზე სეირნობენ, იქვე, ერთ ქუჩაზე დიდი გამომძიებელი კალე ბლუმკვისტი ცხოვრობს, შენობის პირველ სართულზე წარწერაა: „ვიტორ

ასტრიდ ლინდგრენი

ბლუმკვისტის სავაჭრო“, ცოტა მოშორებით საფუნთუშეა... ეს ასტრიდ ლინდგრენის წიგნებში აღწერილი ჯადოსნური სამყაროა ვინრო მოკირწყლული ქუჩებით, პანანინა სახლებითა და გმირებით, რომელიც შვედებმა გააცოცხლეს და რომელსაც უამრავი დამთვალეიერებელი ჰყავს. საინტერესო სანახავია, გეთანხმები, მაგრამ გული არ დაიწყვიტო, თუ იქ ვერ მოხვდი: ასეთი სამყარო ლინდგრენის ყველა მკითხველს აქვს ნანახი თავის წარმოსახვაში, თან ყველას – თავისი, განსხვავებული, განსაკუთრებული. როცა ამ დიდებული მეზღაპრის წიგნებს ნაიკითხავ, შენც გეჩნება საკუთარი „ლინდგრენის სამყარო“ და შეძლება მეგობრებსაც მოუყვე მასზე.

ჩვენ კი დღეს ასტრიდ ლინდგრენზე მოგიყვებით, მწერალზე, რომელმაც მთელი მსოფლიოს ბავშვებს შეაყვარა თავისი უცნაური გმირები.

ასტრიდ ანა ემილია ერიკსონი (ეს მისი ქალიშვილობის გვარი და სრული სახელია) 1907 წლის 14 ნოემბერს პატარა შვედურ ქალაქ ვიმერბიუში დაიბადა. ძველ წითელ სახლში, სადაც ის იზრდებოდა, ცხოვრობდნენ მამა – სემუელ ავგუსტ ერიკსონი, დედა – ჰანა და ასტრიდის და-ძმა.

ასტრიდი ჩვეულებრივი შვედი დიასახლისი იქნებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა. ლინდგრენი ხშირად ხუმრობდა: მწერალი რომ გავხდი, ამას სკანდინავიურ სუსხიან ზამთარს უნდა ვუმაღლოდო. და ეს ნაწილობრივ მართალია: ჯერ იყო და მისი ქალიშვილი კარინი გაცივდა და ფილტვების ანთებით დიდხანს იწვა ლოგინში; გოგონას რომ არ მოეწყინა, დედა ზღაპრებს უამბობდა; ბოლოს მარაგი ამოეწურა და თავადვე დაიწყო შეთხზვა. გოგონა რომ გამოჯანმრთელდა, ახლა დედამ მოიტეხა ფეხი. თაბაშირდადებულმა და სახლში გამომწყვდეულმა ასტრიდმა მოწყენილობის გასაქარვებლად გადაწყვიტა, გამოგონილი ამბები ქალაქზე გადაეტანა. პირველი ზღაპარი გამომცემლობამ დაიწუნა, უცნაური ამბავი გამოგვლიათო. ასტრიდს გული მოუვიდა და გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო იმ დროს გამოცხადებულ კონკურსში „საუკეთესო წიგნი გოგონებისთვის“, სადაც მისმა მოთხრობამ – „ბრიტ-მარის გულისნადები“ – მეორე პრემია მიიღო. ამის შემდეგ, 1945 წელს, გამოიცა ლინდგრენის პირველი წიგნი „პეპი გრძელწინდა“ და აქედან დაიწყო ასტრიდ ანა ემილია ერიკსონის – ასტრიდ ლინდგრენის (ლინდგრენი ქმრის გვარი იყო) – საოცარი პოპულარობა.

„პეპი გრძელწინდა“ იმთავითვე მილიონობით ბავშვის უსაყვარლეს წიგნად იქცა. ასტრიდი სამუშაოდ მიიწვიეს საბავშვო წიგნების გამომცემლობაში. მას შემდეგ, მწერლის ყველა ნაწარმოებმა, იქნებოდა ეს „პეპი გრძელწინდა“ თუ „ყაჩაღის ასული რონია“, „ლიონბერგელი ემილის თავგადასავალი“, „მანანალა რასმუსი“, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“, „მისი, ჩემო მისი“, ერთმანეთის მიყოლებით მოიპოვა დიდება, ითარგმნა უამრავ ენაზე და მთელი მსოფლიოს მკითხველების გული დაიპყრო.



ქექიროტა-ვიქტუარინა-ხოცაჰინა

ციკლიდან „მე მიყვარს ასტრიდი“

მე ჰეჰი ვარ, გრძელიწინდა,
მიცნობდეთ,
ეს – ბატონი მაიმუნი
ნილსონი.
ერთად ვცხოვრობთ უფროსების
გარეშე,
სად? – შევდეთის ერთ მშვენიერ
მხარეში.
გაციანით ჩემი ცხენი,
სახელი
ვერაფრით ვერ შევურჩიე,
მერე რა...
ზატარა ვარ, მაგრამ ბევრის
მნახველი,
ასოები რიცხვებში თუ
მერევა,
დიდი რამე... სწავლით თავს ვერ
მოვიკლავ,
თვლას და წერას მიჩვევია
კუნტრუში,
სტუმრად ველი დღეს ტომსა და
ანიკას,
გამოვაცხვე ოცდაათი
ფუნთუშა.
ძალ-ღონე მაქვს შესამური
ნამდვილად,
როგორ ვხსუბობ, ერთი უნდა
უეუროთ,
ხეებსა და სახურავზეც
გავდივარ,
მიყვარს ჩემი ეზოს მუხის
ფულურო.



ჭორჭორიანი რომ ვარ, განა
ნაკლია?!
ქვალ ნაწნავებს აქეთ-იქით
ვიკვანწავ,
ეველა წევილზე თითო წინდა
მაკლია
(ტყუილებით ისე გადავიქანცე...),

არ ვიცილებ ჩემს ფრატუნა
ფეხსაცმელს,
(ვისაც როგორ უხარია –
ჩაიცვას),
ცომს ეოველთვის იატაკზე
ვამბრტყელებ,
რძის ნაცვლად კი ეავასა და
ჩაის ვსვამ.
ეურს არ ვუგდებ უფროსების
ლაებობას,
ვერასოდეს გავცვლი თამაშს
სწავლაში,
დიდებმა ხომ არ იციან
გართობა
და არც მუხის ფუღუროში
თამაში;
საუბრობენ მოსულელთა
ამბებზე,
შეიძლება თევზებივით
დადუმდნენ...




არ არსებობს ჯადოსნური
აბები,
დიდები რომ ბავშვობაში
დაბრუნდნენ?



მხატვარი ბარბარე მაჭავარიანი



გააკეთე შენი ხელით!



სულ მალე მარტი დადგება, გაზაფხულის პირველი თვე. წინ ლამაზი დღესასწაულები გველის: დედის დღე, ქალთა დღე... იმედია, უკვე მოფიქრებული გაქვს, რას აჩუქებ დედას, ბებიას, დაიკოს თუ მეგობარ გოგონებს.

ჩვენც ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ საჩუქრებისთვის ლამაზი კოლოფები აუცილებლად დაგჭირდება და კარგი იქნება, თუ მას შენი ხელით გააკეთებ. ეს სულაც არ არის რთული.

შეგიძლია ეს კოლოფები ფერად-ფერადი ლენტებით, მძივებითა და ყვავილებით გააფორმო.

თარგები შეგიძლია ჩვენი ვებგვერდიდან ამობეჭდო: www.dila.ge

2014

თებერვლის გამარჯვებული

ანდრია თურმანიძე



დიდი ბიჭი ვაჟი. ცის ცოლა.
ქვლაც მიყნვდები...
(მაიკო ორბელიანი)

1702

7 ადამიანს მოსწონს ეს.

მთავარი რედაქტორი: ღოღო ნიჟარაძე
ნახატი ყდაზე: ბარბარე მაჭავარიანის

„დილის“ რედაქცია მადლობას უხდის ამხანაგობა „ედემს“ გასულ წელს ჟურნალისთვის
განუული ფინანსური მხარდაჭერისთვის

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2 ლარი

ISSN 0132-5965



9 770132 596009

